GÜRTİAD

EKONOMİ BÜLTENİ

ეკონომიკური გამოცემა

31 Ocak / იანვარი 2025

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 694.6	8 284.0	7.8%	16.4%	1.9%

Gürcistan Başbakanı'nın Abu Dabi Ziyareti

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი აბუ-დაბიში

Gürcistan tarihinin en büyük yatırımı gerçekleşti. Emaar Properties/Eagle Hills geliştirme şirketi Gürcistan'a 6 milyar ABD doları yatırım yapacak. Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze'nin Abu Dabi ziyareti sırasında, şirket ile Gürcistan tarafı arasında işbirliği anlaşması imzalandı.

Birleşik Arap Emirlikleri Cumhurbaşkanı'nın ikametgahında gerçekleşen imza törenine Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze ve Birleşik Arap Emirlikleri Devlet Başkanı Şeyh Muhammed bin Zayid El Nehyan katıldı.

Anlaşma, Gürcistan Başbakan Birinci Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Levan Davitashvili ve Ajara Özerk Cumhuriyeti Hükümet Başkanı Tornike Rizhvadze ile şirketin kurucusu ve genel müdürü Mohamed Ali Alabbar tarafından imzalandı.

Gürcistan tarihindeki en büyük yatırım anlaşması, Gürcistan'da Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanlığı ile Acara Özerk Cumhuriyeti Hükümeti'nin birkaç aydır üzerinde çalıştığı ve ön çalışma ve değerlendirmesi tamamlanmış olan iki büyük kalkınma yatırım projesinin geliştirilmesini kapsar. Büyük kalkınma projeleri Tiflis ve Gonio'da uygulanacaktır.

Gürcistan Hükümeti Başkanı'na göre, benzer ölçekte bir yatırım, ülkedeki kalkınma sektörünün gelişimini yeni bir aşamaya taşıyacak.

"Ülkemizde benzeri görülmemiş bir yatırımın hayata geçirilmesini sağlayan bir mutabakat anlaşması imzaladık. 6 milyar dolarlık yatırım, EMAAR grubu tarafından Tiflis, Batum ve Gonio'deki çok fonksiyonlu altyapı projelerine dönüşecek. Bu yatırım, ekonomimizin büyümesini hızlandıracak, yeni istihdam yaratacak ve diğer yatırımcıları da ülkemize çekecektir," diyen Başbakan, Birleşik Arap Emirlikleri ve EMAAR yetkililerine teşekkür etti.

Gürcistan Başbakanı Irakli Kobakhidze, Abu Dabi Limanlar Grubu CEO'su Kaptan Mohamed Juma Al Shamisi ile bir araya geldi.

Toplantıda, Orta Koridor ulaştırma ve lojistik güzergahının geliştirilmesinin önemine ve bu bağlamda Abu Dabi Limanlar Grubu yatırımıyla hayata geçirilen Tiflis Kuru Liman projesinin önemine değinildi.

Tiflis Kuru Limanı, Batum ve Poti limanlarının devamı niteliğinde olan ve onlara hizmet veren, limanları ve lojistik tesisleri birbirine bağlayan modern, intermodal bir lojistik merkezidir. Limanın 2025 yılında faaliyete geçeceği ve Gürcistan, Türkiye, Azerbaycan, Ermenistan ve Kazakistan'ın hem deniz hem de kuru limanlarından oluşan bir ağ kullanarak Batı Asya üretim merkezlerini Doğu Avrupa tüketici pazarlarına bağlayacağı kaydedildi. Kuru liman, Tiflis Uluslararası Havalimanı'na 6 km uzaklıkta, 283.000 metrekarelik bir alanda yer alacaktır.

Yeni lojistik merkezini yönetecek Abu Dabi Limanlar Grubu, Tiflis Kuru Limanı projesinin %60 hissedarı ve ana ortağıdır. Şirket Tiflis Kuru Limanı projesine halihazırda 16 milyon ABD doları tutarında bir yatırım gerçekleştirmiş olup, projenin geliştirilmesi ile yatırım hacmi daha da artacaktır.

Şirketin CEO'su ile yaptığı görüşmede Irakli Kobakhidze, Gürcistan Hükümeti'nin stratejik lojistik ve ulaştırma projeleri de dahil olmak üzere Abu Dabi Devlet Yatırım Şirketi ile işbirliğini genişletmeye olan ilgisini dile getirdi.

საქართველოს ისტორიაში უმსხვილესი ინვესტიცია - დეველოპერული კომპანია Emaar Properties/Eagle Hills-ი საქართველოში 6 მილიარდი აშშ დოლარის მოცულობის ინვესტიციას განახორციელებს, - თანამშრომლობის მემორანდუმი კომპანიასა და ქართულ მხარეს შორის აბუ-დაბიში საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის ვიზიტის ფარგლებში გაფორმდა.

ხელმოწერის ცერემონია არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტის რეზიდენციაში შედგა და მას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე და არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტი, შეიხი მოჰამედ ბინ ზაიედ ალ ნაჰიანი დაესწრნენ.

დოკუმენტს საქართველოს მხრიდან ხელი მოაწერეს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, ხოლო კომპანიის მხრიდან - დამფუძნებელმა და მმართველმა დირექტორმა მოჰამედ ალი რაშედ ალაბარმა.

საქართველოს ისტორიაში ყველაზე დიდი ინვესტიციის შესახებ შეთანხმება საქართველოში ორი მსხვილი დეველოპერული საინვესტიციო პროექტის განვითარებას გულისხმობს, რომლებზეც ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა რამდენიმე თვის

განმავლობაში მუშაობდნენ და რომელთა წინასწარი შესწავლა და შეფასება უკვე დასრულებულია. მსხვილი დეველოპერული პროექტები თბილისსა და გონიოში განხორციელდება.

საქართველოს მთავრობის მეთაურის შეფასებით, მსგავსი მასშტაბის ინვესტიცია ქვეყანაში დეველოპერული სექტორის განვითარებას თვისებრივად ახალ ეტაპზე გადაიყვანს.

“ჩვენ ხელი მოვაწერეთ მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს უპრეცედენტო ინვესტიციის განხორციელებას ჩვენს ქვეყანაში, ეს არის 6 მლრდ დოლარის მოცულობის ინვესტიცია, რომელსაც საქართველოში განახორციელებს საინვესტიციო მიმართულებით განსაკუთრებული გამოცდილების მქონე კომპანია - ცნობილი EMAAR ჯგუფი. განხორციელდება მულტიფუნქციური დეველოპერული პროექტი, განვითარდება მულტიფუნქციური ინფრასტრუქტურა, ერთი მხრივ თბილისში, მეორე მხრივ ბათუმში, გონიოში. ეს ყველაფერი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, კიდევ უფრო დააჩქარებს ეკონომიკური ზრდის ტემპებს, შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები და ეს ყველაფერი კიდევ უფრო მეტად მოიზიდავს სხვა ინვესტორებს ჩვენს ქვეყანაში.

მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს პარტნიორებს, მეგობრებს, არაბთა გაერთიანებული საამიროების ხელისუფლებას და EMAAR ჯგუფს, მის ხელმძღვანელს ბატონ ალაბარს, ყველას განსაკუთრებული მადლობა თანამშრომლობისთვის და დღევანდელი შეთანხმებისთვის, რასაც ექნება განსაკუთრებული მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის,“- განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე აბუ-დაბის პორტების ჯგუფის აღმასრულებელ და მმართველ დირექტორს კაპიტან მოჰამედ ჯუმა ალ შამისის შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო შუა დერეფნის სატრანსპორტო-ლოგისტიკური მარშრუტის განვითარების მნიშვნელობას და ამ კუთხით თბილისის მშრალი პორტის პროექტის მნიშვნელობას, რომელიც აბუ-დაბის პორტების ჯგუფის ინვესტიციით ხორციელდება.

თბილისის მშრალი პორტი წარმოადგენს თანამედროვე, ინტერმოდალურ ლოგისტიკურ ცენტრს - ბათუმისა და ფოთის პორტების გაგრძელებას, რომელიც ემსახურება მათ, აკავშირებს პორტებსა და ლოგისტიკურ ობიექტებს. აღინიშნა, რომ ის ფუნქციონირებას 2025 წელს დაიწყებს და შუა დერეფნის საშუალებით დასავლეთ აზიის წარმოების ცენტრებს აღმოსავლეთ ევროპის სამომხმარებლო ბაზრებთან საქართველოს, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ყაზახეთის როგორც საზღვაო, ისე მშრალი პორტების ქსელის გამოყენებით დააკავშირებს. მშრალი პორტი თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან 6 კმ-ში, 283,000 კვ.მ ფართობზეა განლაგებული.

აბუ-დაბის პორტების ჯგუფი თბილისის მშრალი პორტის 60%-იანი წილის მფლობელი და მთავარი პარტნიორია, რომელიც ახალ ლოგისტიკურ ცენტრს მართავს. კომპანიამ თბილისის მშრალი პორტის პროექტში ამ ეტაპისთვის 16 მლნ აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა, რომლის მოცულობა პროექტის განვითარებასთან ერთად გაიზრდება.

კომპანიის აღმასრულებელ დირექტორთან შეხვედრისას ირაკლი კობახიძემ გამოთქვა საქართველოს მთავრობის ინტერესი აბუ-დაბის სახელმწიფო საინვესტიციო კომპანიასთან თანამშრომლობის გაფართოების კუთხით, მათ შორის სტრატეგიულ ლოგისტიკურ-სატრანსპორტო პროექტებში.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcistan'ın Dış Ticaret Cirosu 23 Milyar Doları Aştı

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვამ 23 მლრდ დოლარს გადააჭარბა

Gürcistan Ulusal İstatistik Ofisi verilerine göre, 2024 yılında Gürcistan'da dış ticaret cirosu (beyan edilmemiş ticaret hariç) bir önceki yıla göre %8 daha yüksek olan 23.435 milyar ABD doları olarak gerçekleşti. Bundan ihracat 6.560 milyar ABD doları (%7,8 artış), ithalat ise 16.874 milyar ABD doları (%8,1 artış) olarak gerçekleşmiştir. Gürcistan'ın 2024 yılındaki negatif ticaret dengesi, dış ticaret cirosunun %44,0'ına denk gelen 10.314 milyar ABD doları olarak gerçekleşti.

Bunun dışında Geostat'ın raporuna göre, 2024 yılında en büyük on ihracat ortağı ülkenin payı, Gürcistan'ın toplam ihracatının %81,5'ini oluşturmuştur. İlk üç ihracatçı ülke Kırgızistan (1.287 milyar ABD Doları), Kazakistan (859,9 milyon ABD Doları) ve Azerbaycan (724,5 milyon ABD Doları) olmuştur.



2024 yılında Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük ithalat ortağı 10 ülkenin payı yüzde 69.9 olarak gerçekleşti. İlk üç sırada Türkiye (2.770 milyar ABD doları), ABD (2.047 milyar ABD doları) ve Rusya (1.849 milyar ABD doları) yer alıyor.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI თიბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcistan'ın toplam dış ticaret cirosunda en büyük on ticaret ortağı ülkenin payı yüzde 68,9'unu oluşturdu. Ülkenin en büyük ticaret ortakları: Türkiye (3.228 milyar ABD doları), Rusya (2.531 milyar ABD doları) ve ABD (2.188 milyar ABD doları).

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2024 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 23.435 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 8%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 6.560 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს (გაიზარდა 7.8%-ით), ხოლო იმპორტი 16.874 მლრდ აშშ დოლარს (გაიზარდა 8.1%-ით). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2024 წელს 10.314 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 44.0 პროცენტია.
ამასთან, საქსტატის ანგარიშის თანახმად, 2024 წელს ათი უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ექსპორტში 81.5 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საექსპორტო სამეული შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: ყირგიზეთი (1.287 მლრდ აშშ დოლარი), ყაზახეთი (859.9 მლნ აშშ დოლარი) და აზერბაიჯანი (724.5 მლნ. აშშ დოლარი).
2024 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში კი 69.9 პროცენტი შეადგინა. პირველ სამეულში შედის: თურქეთი (2.770 მლრდ აშშ დოლარი), აშშ (2.047 მლრდ აშშ დოლარი) და რუსეთი (1.849 მლრდ აშშ დოლარი).
ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68.9 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (3.228 მლრდ აშშ დოლარი), რუსეთი (2.531 მლრდ აშშ დოლარი) და აშშ (2.188 მლრდ აშშ დოლარი).

Değeri 7 Milyar Doları Bulan Gürcü Ürünleri İhraç Edildi

ექსპორტზე 7 მლრდ დოლარამდე ღირებულების ქართული პროდუქტი გავიდა

Ulusal İstatistik Servisi tarafından yayınlan bilgilere göre, 2024 yılında Gürcistan'dan yapılan mal ihracatı hacmi (beyan edilmemiş ihracat hariç) geçen yılın ilgili göstergesinden yüzde 7.8 daha yüksek 6.560 milyar doları buldu.

Raporlarına göre yerel ihracat (yeniden ihracat hariç ihracat) toplam ihracatın yüzde 45,8'ini oluşturuyor. Bu rakam bir önceki yıla göre yüzde 5 artarak 3.007 milyar dolarına yükseldi.

2024 yılında Gürcistan'ın toplam yurt içi ihracatında en büyük 10 ülkenin payı yüzde 72,9 olarak gerçekleşti. Bu bağlamda en büyük ihracat ortakları Rusya (653.4 milyon ABD doları), Türkiye (402.5 milyon ABD doları) ve Çin'dir (273.4 milyon ABD doları).

Ferroalaşımlar, 321.9 milyon dolar ile 2024'te yerel ihracatın ilk 10'unda birinci yer alıp bu emtia grubunun payı, toplam yerel ihracatın yüzde 10.7'sini oluşturdu. Üzüm natürel şaraplar 274.7 milyon dolar ile ikinci sırada yer almaktadır (toplam yerel ihracatın %9.1), alkollü içecekler 250.2 milyon dolar ile (toplam yerel ihracatın %8.3) üçüncü sırayı aldı.

2024 წელს საქართველოდან განხორციელებული საქონლის ექსპორტის მოცულობამ (არადეკლარირებული ექსპორტის გარეშე) 6.560 მლრდ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 7.8 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე. ამის შესახებ ინფორმაციას სტატისტიკის ეროვნული სამსახური აქვეყნებს.

მათივე ცნობით, ადგილობრივი ექსპორტი (ექსპორტი რეექსპორტის გარეშე), მთლიანი ექსპორტის 45.8 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 5%-ით გაიზარდა და 3.007 მლრდ. აშშ დოლარს გაუტოლდა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI საქართველოს ᲑᲐᲜᲙᲘ ᲘᲡᲑᲐᲜᲙᲘ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

„2024 წელს ათი უმსხვილესი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან ადგილობრივ ექსპორტში 72.9 პროცენტი შეადგინა. ამ მხრივ, უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორებია: რუსეთი (653.4 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (402.5 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (273.4 მლნ. აშშ დოლარი).

2024 წელს ადგილობრივი ექსპორტის ათეულში პირველ ადგილზე ფეროშენადნობები არის წარმოდგენილი 321.9 მლნ. აშშ დოლარით, აღნიშნული სასაქონლო ჯგუფის წილი მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 10.7 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილზეა ყურძნის ნატურალური ღვინოები 274.7 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 9.1 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილს იკავებს სპირტიანი სასმელები, 250.2 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 8.3 პროცენტი)," - აღნიშნულია „საქსტატის" ინფორმაციაში.

2024 Yılında Gürcistan'a İthalat %8.1 Arttı

2024 წელს საქართველოში იმპორტი 8.1%-ით გაიზარდა

2024 yılında Gürcistan'a ithalat %8.1 artarak 16,8 milyar ABD dolarına ulaştı.

Geçen yıl Gürcistan'ın toplam ithalatında en büyük ithalat ortağı 10 ülkenin payı yüzde 69,9 olarak gerçekleşti.

2024'te Gürcistan'da dış ticaret cirosu bir önceki yıla göre %8 artarak 23 milyar 429 milyon ABD doları olarak gerçekleşti.

Geçen sene negatif ticaret dengesi 10 milyar 308 milyon dolar olarak gerçekleşerek dış ticaret cirosunun yüzde 44'ünü oluştururken, 2023 yılında ticaret dengesi negatif olarak 9 milyar 517 milyon dolar olarak gerçekleşmiştir.

2024 yılında negatif ticaret dengesi 10 milyar 308 milyon dolar olarak gerçekleşerek dış ticaret cirosunun yüzde 44'ünü oluşturdu. 2023 yılında ise ticaret dengesi negatife dönerek 9 milyar 517 milyon dolar olarak gerçekleşti.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI საქართველოს IŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

En çok ithalat yapan 10 ülke:

1. Türkiye - 2,7 milyar dolar (%7,6 artış);

2. ABD - 2,04 milyar dolar (%0,2 düşüş);

3. Rusya - 1,8 milyar dolar (%6 artış);

4. Çin - 1,6 milyar dolar (%21,3 artış);

5. Almanya - 1,3 milyar dolar (%34,8 artış);

6. Azerbaycan -583,5 milyon dolar (%10,9 düşüş);

7. Japonya - 534,9 milyon dolar (%13,1 düşüş);

8. İtalya - 416,3 milyon dolar (%11 artış);

9. Birleşik Arap Emirlikleri - 333,1 milyon dolar (%13,3 düşüş);

10. Polonya - 328,1 milyon dolar (%21,7 artış).

2024 წელს საქართველოში იმპორტი 8.1%-ით გაიზარდა და 16.8 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა.

2024 წელს ათი უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან იმპორტში 69.9% შეადგინა.

2024 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 23 მილიარდ 429 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 8%-ით მეტია.

უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2024 წელს 10 მილიარდ 308 მლნ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 44%-ია. მაშინ როდესაც 2023 წელს სავაჭრო სალდო უარყოფითი იყო და 9 მილიარდ 517 მილიონ დოლარს შეადგენდა.

10 უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანა:

1. თურქეთი - $2.7 მლრდ (ზრდა 7.6%);
2. აშშ - $2.04 მლრდ (კლება 0.2%);
3. რუსეთი - $1.8 მლრდ (ზრდა 6%);
4. ჩინეთი - $1.6 მლრდ (ზრდა 21.3%);
5. გერმანია - $1.3 მლრდ (ზრდა 34.8%);

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI ეროვნული ᲘᲨᲑᲐᲜᲘ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

6. აზერბაიჯანი -$583 5 მლნ (კლება 10.9%);
7. იაპონია - $534 9 მლნ (კლება 13.1%);
8. იტალია - $416.3 მლნ (ზრდა 11.$%);
9. არაბთა გაერთიანებული საამიროები - $333.1 მლნ (კლება 13.3%);
10. პოლონეთი - $328.1 მლნ (ზრდა 21.7%).

"Goderdzi" Avrupa'nın Kışlık Tatil Yerleri Arasında İlk Sırada

ევროპის ზამთრის კურორტებში კურორტი „გოდერძი" პირველ ადგილზეა

Etkili seyahat platformu European Best Destinations, Avrupa'nın en iyi kışlık tatil yerlerinin sıralamasını yayınladı. Goderdzi dağ tesisi listede ilk sırada yer alıyor. Gürcistan tatil beldesinin yanı sıra en iyi 12 destinasyon arasında Fransa, İtalya, İsviçre ve Avusturya'daki kayak destinasyonları da seçildi.

გავლენიანი სამოგზაურო პლატფორმა European Best Destinations ევროპის საუკეთესო ზამთრის კურორტების რეიტინგს აქვეყნებს. სიაში სამთო კურორტი გოდერძი პირველ ადგილზეა. 12 საუკეთესო მიმართულებას შორის, საქართველოს კურორტთან ერთად, საფრანგეთის, იტალიის, შვეიცარიისა და ავსტრიის სამთო-სათხილამურო მიმართულები მოხვდნენ.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI საქართველოს ᲑᲐᲜᲚ ᲘᲡᲑᲐᲜᲚ MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank

Gürcistan'a Elma İthalatı 2024'te Yüzde 70 Arttı

2024 წელს საქართველოში ვაშლის იმპორტი 70%-ით გაიზარდა

Gürcistan 2024 yılında 5.1 milyon ABD doları değerindeki 7,317 ton elma satın aldı; bu miktar parasal olarak %70, sayısal olarak %48.1 daha fazladır.

Ana ithalatçı ülke, Gürcistan'ın ürünün %43'ünü satın aldığı Türkiye'dir.

İthalatçı ülkelerin İLK-5'i aşağıdaki gibidir:

Türkiye - 2,2 milyon; 3.155 ton;

Ukrayna - 1,8 milyon; 2.512 ton;

Ermenistan - 452,2 bin; 612,8 ton;

İran - 326,6 bin; 622 ton;

Polonya - 101,3 bin; 119,9 ton.

Aynı zamanda Tarım Bakanlığı verilerine göre Gürcistan'dan 1 Ağustos 2024 tarihinden 26 Ocak 2025 tarihine kadar 5.8 milyon dolar değerinde 9.1 bin ton elma ihracatı gerçekleştirilmiştir.

Geçen yılın aynı dönemine göre ihraç edilen elma miktarı 7.6 bin ton - 6 kat, maliyet ise 4.8 milyon dolar artarak - 6 kat arttı.

საქართველომ 2024 წელს 5.1 მლნ აშშ დოლარის 7,317 ტონა ვაშლი იყიდა, რაც თანხაში 70%-ით, რაოდენობაში კი, 48.1%-ით მეტია.

მთავარი იმპორტიორი ქვეყანა თურქეთია, საიდანაც საქართველომ პროდუქტის 43% იყიდა.

იმპორტიორი ქვეყნების TOP-5 კი ასეთია:

თურქეთი - 2.2 მლნ; 3,155 ტონა;

უკრაინა - 1.8 მლნ; 2,512 ტონა;

სომხეთი - 452.2 ათასი; 612.8 ტონა;

ირანი - 326.6 ათასი; 622 ტონა;

პოლონეთი - 101.3 ათასი; 119.9 ტონა.

პარალელურად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, 2024 წლის 1 აგვისტოდან 2025 წლის 26 იანვრის ჩათვლით საქართველოდან ექსპორტირებულია 9.1 ათასი ტონა ვაშლი, რომლის ღირებულებამ 5.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ექსპორტირებული ვაშლის რაოდენობა 7.6 ათასი ტონით, 6-ჯერ, ხოლო ღირებულება - 4.8 მლნ აშშ დოლარით, 6-ჯერ გაიზარდა.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA K 777 LC WAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports Ziraat Bank